

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფრთხილ

ცალკე ნომერი ღირს შაურათი

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ ТИШ. №8. ВЪ РЕДАКЦІЮ ГАЗ. „ПРОСВѢД.“

გაზეთის ფასი: მთელის წლისა— 3 მან., ნახევარ წლისა— 4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვისა— 3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენაზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე— 1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე— 8 კაპ., ჩვეულებრივის ციკროთი— 1 კაპ., პატარა— 4 კაპ.

რედაქციას უზღუდა აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 16 მაისს. „Morning Post“ და „Daily Telegraph“ ამბობენ: შუქალთა-ვის სამშუალობით ინგლისი და რუსეთი ზოგიერთ საგნებში დათანხმდნენ. ბესსარაბისა და სამხედრო ხარჯის (კონტრიბუციის) შესახებ შემდეგ იქნება მოლაპარაკება.

საზოგადოებათა პალატამ მიიღო კანონი, რომლის ძალითაც მთავრობას მიეცემა უფლება, რომ ინდოეთის ჯარისათვის სახელმწიფო ხაზინიდან ფული დახარჯოს.

პეტერბურლი, 17 მაისს. სარსეთის შაჰი დღეს მიდის პეტერბურლიდამ.

პეტერბურლის ბირჟა, 16 მაისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი.)

	მან.	კაპ.
ლონდონი —	24	37
ამსტერდამი —	124	—
ჰამბურგი —	207	—
პარიჟი —	256	50
შინაგანი: 5% სესხის ბილეთები		
პირველი სესხის —	235	25
მეორე სესხის —	230	50
ბანკის ბილეთები:		
პირველი გამოცემის —	98	25
მეორესი —	95	87
მესამესი —	95	50
მეოთხესი —	95	25
პლმოსავლეთის —	94	75
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8	24

საქართველო

ჭუთაისის ბანკის კრება

პირველი სხდ-მა 14 მაისს

პრეზიდიუმმა მოვიდა დღეს 61 მეკენჭე. სხდომა გაიხსნა პირველ საათზე.

თავმჯდომარეთ იყო ზედამხედველი კომიტეტის წევრი უ. ლ. ასათიანი.

პირველათ კომიტეტმა წარუდგინა კრებას დასამტკიცებლათ რამდენიმე მუხლი დარიგება მის შესახებ, თუ რა წესითა და რიგით უნდა იქნეს წაყვანილი სხდომები და საქმის წარმოება კრებაზე. მცირედ ნაწილს გარდა წარდგენილი

მუხლები მიიღო კრებამ. ამ მუხლებმა ყველას მიანიჭა თავისუფალი სიტყვის ნება, რომ ყველამ თავისუფლათ ილაპარაკოს, სხვამ არ მოუშალოს, სანამ არ გაათავებს; რომ ვინც მშვიდობიანობას და წესს დარღვევს, მას, თავმჯდომარის მხრით ორჯერ გაფრთხილების შემდეგ, სიტყვის უფლება წაერთმევა; რომ ყოველი სიტყვიერათ შეტანილი ჰაზრი მაშინ მიიღება ყურადღებაში, როცა მის შემტანს ეთანხმებიან არა ნაკლებ ათის კაცისა; რომ თავმჯდომარე ეცადოს შეათანხმოს ორი მოწინააღმდეგე მხარე რომლისაშიც ჰაზრის შესახებ და ამ ჰაზრზე გადაწყვეტილების დადგენის საშუალება მოიძიოს; რომ კრებაში, როგორც შემოღებულთა საზოგადოათ სხვაგან, იარაღით არ შემოვიდნენ და სხ.

წესდება სხდომის მსვლელობისა ჯერ წაკითხული იყო საზოგადოათ ერთათ კომიტეტის ერთის წევრისაგან, და შემდეგ ცალ-ცალკე თითოეული მუხლი.

ლაპარაკი ჩამოადგო კრებაში განსაკუთრებით დარიგების ორმა ალაგმა— ეს იყო საშუალება გადაწყვეტილების დადგენისა და იარაღის აყრა. იარაღის ანთამ ბევრი შეაფუცხუნა, ბევრა ალაპარაკა, ბევრმა იუკადრისა ეს. ზოგი ამბობდა, რომ დარწმუნდით უწესოებისთვის და იარაღის მოხმარებისათვის არავინ მოსულა აქ და საჭირო არ არის ამაზე ლაპარაკი, თუმცა არც წინააღმდეგი რამე იქნება, რომ ასე მოვიქცეთო; ზოგი ამბობდა, რომ ჯერ არავის გაუუბედურებიათ, რომ იარაღი ავყარონ და სიმბირში გაგვგზავნონო, და რათ ჰმვრებით ამასო. სხვები ამბობდნენ, რომ სამაჰსურის კაცები არიან აქ ისეთებიო, რომელნიც ვალდებულნი არიან, რომ უიარაღოთ არ იარონ, თორემ შეინიშნებიან თავის უფროსებისაგანაო, და არ მოხერხდება ეს ჰაზრი სისრულეში მოვიყვანოთო.

სიტყვიერი წინადადების შეტანის თაობაზე ზოგი ამბობდა, რომ ათი კაცის მიმყოლობა საჭირო არ არისო, თითოეულს ექნეს უფლება ჰაზრის შეტანისაო; ათი კაცი სად ვეძიოთო, ან რომ არავინ მომყვეს სხვა, ჩემს წინადადებას მაინც რათ უნდა დავანებო თავიო და სხვ. მაგრამ ამაზე თავმჯდომარემ მისცა პასუხი, რომ შეუძლებელია, რომ თითოეულს ექნეს სიტყვიერი ჰაზრის შემოტანის უფლება, ყველა ჰაზრები წარმოებაში შევიყვანოთ, რადგან ამ შემთხვევაში შეიძლება ბევრი ჰაზრი წარ-

მოდგესო. ზოგნი წვერნი კი ამას უპასუხებდნენ ერთი პირის ჰაზრის შემოტანის უფლებას: „თუ შენი ჰაზრი ჰაზრია და რამე ჭეშმარიტი იქნება იმაში, ათი კაცი როგორ არ მოგეძებნება მომხრეო“.

სხდომა შესწყვიტეს ცოტა ხნით. შემდეგ გადაწყვიტეს ასე:

თუ თავმჯდომარე ვერ შეათანხმებს რომლისაშიც ჰაზრის შესახებ ორს მოწინააღმდეგე მხარეს, მაშინ საქმის გადაწყვეტა უნდა მოახდინოს კენჭისყრით, რომელზედაც სურვილი უნდა განაცხადოს კრების ერთმა მესამედმა მაინც; იარაღის ანდაზე მუხლი გამოირიცხეს; სიტყვიერი ჰაზრის შემომტანს ათი მომხრე უნდა ეყოლოს.

შემდეგ ამისა წაკითხეს ბანკის ანგარიში წასრულის წლისა, რომლის შემდეგ თავმჯდომარემ ჰკითხა კრებას:

— როგორ ინებებს ის: ბანკის ანგარიშის ამნაირათ წაკითხვით დაკმაყოფილება და დაამტკიცებს მას, თუ სხვა საშუალებას ისურვებს, რომ ბანკის მოქმედება განხრეკილი იქმნეს ახალი დანიშნული კომისიით, ან სხვაფრთხი როგორმე, და მერმე დაამტკიცებს?

უ. ირაკლი ლორთქიფანიძე ჰთხოვლობდა ახალი კომისიის დანიშნეს, რომელსაც უნდა განეხილა ანგარიში დაწერილებით და მერმე დაემტკიცებია კრებას კომიტეტისაგან წარმოდგენილი ბანკის ანგარიში.

უ. დ. აბდუშელიშვილი ამბობდა, საჭირო არ არის ამნაირათ საქმეს შევუდგეთო; თუ ვინმე იჭიანის თვალით უყურებს ბანკის მოქმედებას, შეუძლიან მიჰპართოს ზედამხედველ კომიტეტს, რომელიც განუპარტებს ყველას დაკითხულ საქმესაო.

უ. ჩიქვანი— არ კმარა, რომ მართლ ჩვენი კრება, დარწმუნდეს ბანკის სრიგით მოქმედებაში, საჭიროა გარემო პირობები, უცხო კაცებიც დარწმუნდნენ ამანშიო და, რადგანაც მწერლობათ წარმოქმნილია ეჭვი ბანკის ზოგიერთ მოქმედებაზე, საჭიროა, თუ ეს ეჭვი უსაფუძვლოა, იმნაირივე გზით იქნეს დარღვეულიო.

უ. ირაკლი ლორთქიფანიძე: სხვადასხვა ხმები გაუუხებენ და ამისთვისაცაა საჭირო კომისიის დანიშნვა, რომ დავრწმუნდეთ საქმის სინამდვილეში. კრებას არაფერი გავგება, არაფერი იცის, უსაფუძვლოა და ასე უცეფ რას გაიგებს, რას შეიტყობს!

ამაზედ თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ორი თვე რომ ჩხრიკონ საქმე, მაშინაც ვერას გაიგებენო. შეგლა იქვეს, ყველა ხმებს, რაც გაგიგონიათ ბანკის ურიგო მოქმედებაზე, ყველას, რაც გაქვთ სათქმელი, თავი მოუყარეთ ერთათ, გადმოგვეცით ზედამხედველ მომიტეტს და ყველაფერზე ერთათ მიიღებთ პასუხსო.

პომიტეტის წევრმა, უ. ლ. ბაქრაძემ სთქვა, რომ სესხებს ბანკი გირავოს ფურცლების მაგიერ ნაღდი ფულით იძლევიდალო, მაგრამ ბანკის სამმართველო ამ საქმეს ჰხსნის დროთა ვითარების ძალით, და სარგებლობან ქალაქების ყიდვაც მიუცილებელი იყო.

უ. ბ. ლოლობერიძე: მა ორთვე მოქმედება ბანკის სამმართველოსი არცერთი არ არის წინააღმდეგი ბანკის წესდებისა. მალდებულნი ვართ ფული ისეთ ნაირათ შევიანხოთ, რომ ბანკის სასარგებლო იყოს. და ისეთ საქმეს არ მოვიკიდოთ ხელი, რომელსაც მოჰადრებს რისკი. ბანკის წესდების ძალით, რამდენიმე თავნის ფულის ნაწილი შენახული უნდა იყოს სახელაწიფო სარგებლიან ქალაქდებით და ამისთვის იყო ნაყიდი სარგებლიანი ქალაქდებიო, ამ შემთხვევაში არც ვაჭრობა და არც საფათურაკო არაფერი არ ჩაუდენია ბანკის სამმართველოსაო. ბირაოს ფურცლების მაგიერ ნაღდი ფულების გაცემა მიუცილებელი იყო და შესაძლოც, როგორც სხვა საადგილ-მამულო ბანკების პრაქტიკა გვიჩვენებსო. პირველი წელიწადი ჩვენი ბანკის მოქმედებისა ისეთ-ნაირი იყო, ისეთი გარემოებები მოჰყვენ მას, რომ საზოგადოთ ყველა სარგებლიან ქალაქდების კურსი დაეცაო. ამისთანა დროს რომ გავვეცა გირაოს ფურცლები, არ შეიძლებოდა, რომ ეს სამძიმა არ დარჩენილიყო სესხის გამტანთათვისო, რადგანაც ბანკს ჰქონდა საშუალება, რომ ამისთანა ძნელს დროს საზარალოდ არ გაიყიდა თავის ობლიგაციები, ისე დაეკმაყოფილებინა მსესხებლების მიუცილებელი მოთხოვნილებაო, ამისთვის საჭიროთ დავინახეთ მოცდა, რომ მომავალს უფრო კვი დროს ის ობლიგაციები უფრო სასარგებლოთ გაიყიდას. ას მანეთში ფუნქციას ვაძლევდითო ვისაც გირაოს ფურცლები უნდა მისცემოდაო, რომ არც ბანკი ყოფილიყო წაგებაში და არც მსესხებლებიო. რომ ასე არ გვექნა, გირაოს ფურცლები 50-60 მანეთად უნდა გაყიდულიყოო. ახლა შესაძლოთ დავინახეთ მათი გასაღება და მივიღეთ კიდევ საჭირო ზომებიო. არ უნდა ჩართვადლოს წინააღმდეგად, რომ ერთ გზის მაგიერ კაცმა მეორეს გზით, მაგრამ საიმედოთი, გააკეთოს საქმე უვნებელათაო.

უ. ბ. ლოლობერიძეს დაწერილებით ჰსურდა მოლაპარაკება ბანკის საქმეზე უკაცრავათ, თუ გრძელი გამოვიდეს ჩემი სიტყვაო, მაგრამ რა ვქნა, საჭიროა მოაღმინოთ, რადგან ამას თხოულობს საქმე, რადგან ეჭვები და ხმები ჰტრიალებენ, და საშინელ რაღაცას

გვაწამებენო. მაგრამ აღარ დასრულდებინეს ისე, როგორც უნდაო. უ. ირაკლი ლორთქიფანიძემ სთქვა, რომ ჭინანის ლექციების საყურებლოთ არ მოესულვართ ჩვენ აქაო და არ გესურს გავიგონოთო. ამან შეაჩერა უ. ლოლობერიძის სიტყვა, რომელიც თავმჯდომარის შენიშვნის შემდეგ, რომ სიტყვა საქმეს შეეხება პირდაპირ, გაგრძელებული იქმნა, მაგრამ მალე დაბოლოვდა.

უ. ირაკლი ლორთქიფანიძე კომისიის დანიშვნას თხოულობდა, მაგრამ ბევრი ამობდა, რომ კომისია საჭირო აღარ არის, რადგან ბანკის სამმართველოს მოქმედების ზედამხედველად პომიტეტი გვყავსო; თუ რამ გაქვთ საკითხავი, მას ჰკითხეთ და განვიმარტებთო; საჭიროთ ვსთვლით დამტკიცდეს ანგარიშიო.

უ. ირაკლი ლორთქიფანიძე და ზოგერთნი მისნი მომხრენი კენჭს-ყრას თხოულობენ კომისიის დანიშვნის შესახებ. თავმჯდომარემ წინადადება მისცა, ვისაც ჰსურდათ კომისია, წამომდგარიყო თავის ალაგიდან ფეხზე, რომ ამნაირათ შეეტყუოთ კენჭს ყრის მსურველების რიცხვი; მაგრამ ეს არ ჰქნეს ვისკენაც მიქცეული იყო. კენჭის ყრის სურვილი ისმოდა მარტო უ. ირაკლი ლორთქიფანიძის და ორი-სამი მისი თანამოაზრეებისაგან.

მაი ხანს იყო ლაპარაკი, თუ როგორ მოვევარებინათ საქმე და ბოლოს დროს თავმჯდომარემ წაიკითხა გადაწყვეტილება, რომ 14 მაისს შეკრებილ ბანკის საზოგადოებამ 57 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ ოთხისა დაამტკიცა ანგარიშიო.

უ. ლორთქიფანიძემ ჰსთქვა, რომ ოთხი კი არა, ორმოციც ვიქნებით პროტესტის შემომტანლებიო.

უ. ლ. ლოლუამ წინეთ ამისა წარმოსთქვა, რაც უ. ლოლობერიძემ ილაპარაკა, მაგრამ უფრო შემოკლებით და დაუმატა, რომ ბანკის სამმართველოს მოქმედება ვერ ვიტყვი წესდების წინააღმდეგი არ იყოს მოხსენებულის ორი საგნის შესახებო, მაგრამ სხვანაირათ მოქმედება, როგორც უ. ლოლობერიძემ სთქვაო, შეუძლებელი იყო და არც ზედამხედველი პომიტეტის უთანხმოთ მომხდარა ესო. რამდენიმეჯერ განუწერა კრებას: „მარწმუნებო, რომ საშიშო და მანებელი არაფერი მომხდარა ბანკშიო! მე გარწმუნებთ თქვენ, არაფერი საშიშო არ მომხდარა!“

პი ეს არის დღევანდელი სხდომის შემოკლებული ამბავი.

14 მაისი, შუთახი

დღიური

ორშაბათის სხდომა ქალაქის მამგობისა არ შესდგა, რადგან საკმაო ხმოვანი არ მოგროვდნენ. მტყობა, რომ ზუთხული დგება...

ბახშირბული წვიმებისგან აღიდებულმა მტკვარმა დიდი ზიანი მისცა

წყლის ნაპირა მცხოვრებ ხალხსა და ტაღის პატრონებს. რამდენიმე ხის შენობა დაუნგრევია და ბევრი ტყეი წილუა.

ჩვენი ქალაქის მამგობა აცხადებს, რომ მსურველს შეუძლიან მამგობაში მოაწეროს ხელი და შესწიროს ფული რუსეთის კრესერების შეძენისათვისო.

მამოჩენილი ავაზაკი ტატო წულუკიძე, რომელზედაც ამას წინათ იწერებოდნენ, რომ მლადიკავკაზში დაიქირესო, როგორც გახ. „მშაკი“ გვაცნობს, ამ ჟამად როსტოვში იმყოფება და თავისუფლად დასეირნობს სტატსკურის ტანისამოსითაო.

ზოგიერთი ახალი ხილი შემოვიდა ქალაქში როგორც მაგალითად მბალი, მარწყვი, ალუჩა და სხვ. მაგრამ, რადგან ეს ხილი ჯერ კიდევ მკვანება და უგემური, იმის ყიდვას არავის ურჩევთ, მაგრამ ურჩევნოთაც ბევრი არაინ იყიდის, რადგან ერთობ ძვირად იყიდება: მარწყვს მაგალითად ორ-სამ აბახნაკლებ არ აძლევენ!

ამ დღეებში შაქარმა ცოტა დაიკლო ფასი; ადრე ფუთი რვა და ორ აბახად იყო; ახლა რვა და ერთ აბახათ ჰყიდიან. ამაზედ ეტყობა მშვიდობიანობის ნიშნები:

„დროების“ კორმესონდენცია

სიღნაღი, 11 მაისს. ამ მაისს აქაურები უქმობენ, როგორც „სეტყვის უქმეს“.

დილა იყო მშვენიერი, საამური, სულის მომბრუნებელი. ჭეყნის მანათობელმა გაშალა თავისი ბრწყინვალე, განმაცხოველებელი სხივები და დაამშვენა პატარაძლულათ, კეკლუცად მორთული ბუნება. ბრილი ნიაფი ფოთლებზედ შრიალით ცელქათ ეთამაშებოდა ამ სხივებს და ეძლიერდა ბუნებას რაღაც სხვანაირი, ოცნებითი შეხედულობა.

მუშა ხალხმა ისარგებლა მშვენიერი ამინდით და მიუხედელოთ მძიმე უქმისა უმეტესობა შეუდგა ფაცხა-ფუცხით თავის საქმეს, მოშაობას.

ზოგ-ზოგი კიდევ, ვისაც ეშინოდათ უქმის გატეხისა, წამოწოლილ იყვნენ ყუდროზედ, შესცქეროდნენ ცის გუმბათს და მუსაიფობდნენ წარსული და წლევანდელი წლების ამინდებზედ, მოსავალზედ, სიმძვირეზედ, ომიანობაზედ და სხ. საზაფხულოთ მართული ახალი მოყვანილი პატარაძლები ქოლგებით გამგზავრებულნიყვნენ სასეირნოთ და ათვალისებდნენ იმათთვის ჯერ ახალ არემარეს...

შუადღებზედ კარგა ჩამოცხა. ნაშუადღევს ცა ისე მოწმენდილი იყო, რომ ერთი ნაჭერი ღრუბელი არსად იპოვებოდა. ამ დროს მოისმა ღმუეილის მსგავსი ქუხილის ხმა, რომელიც განგრძობდა

და ნახევარიოდე საათი. საათის 3-4-ზედ მოვიდა წერილი წვიმა; ამას მოჰყვა მზა-პუნა წვიმა, წვიმა ისეთი სხვილი, რომ წვეთები დედამიწიდან მაღლა-მაღლა შეხტოდნენ. ღრუბლები თან-და-თან მოგროვდნენ, მზე მიიმალა და ელვა წამ-და-უწყებ ანათებდა არე-მარეს. ზუილი ქვეშ გარდაიქცა და ზარის ხმით გაძახიდა ქვეყანას, თითქო აფრთხილებდა: „თავს უშველეთ! შოხალათ იყავითო!“

ზოგ სოფელში ჯერ ცერის-ოდენამ და შემდეგ წერილია სეტყვამ მოფინა მიწა.

თვალის დახამამებაში გაძრივდა წიადრები და ხეებში აივსო გაუფალი წყლით; ზოგან, როგორც ამბობენ და ეტყობა ხევის ნაპირებით, ერთი და მეტი საყენი სიმაღლე ღვარი ჰყოფილა.

წივილი-კივილი და თავში ხელების ცემა დედაკაცთა, რომელთაც მამაკაცები გზაში და მინდორ-ტყეში ჰყავდათ და ხეწუნა-ვედრება და ტირილი — გვიშველეთ! ვინ ხართ ქრისტიანები! — იმათი, ვისაც საეჭვო სახლები ეგულე-ბოდათ, ან ხევის პირს ედგათ, — ზეცას ასდირდა!

წვიმა იყო წარმოუდგენელი ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ არა ყოველ სოფელში ერთ გვარათ; სეტყვაც ზოგ სოფელში არ ჰყოფილა.

შვიდი საათი შესრულდა, „დღე ღამის გავიქარა“, რომ წვიმა სწორეთ „კოკის პირულად“ მოდიოდა.

ქუჩები, სადაც ორ-სამ საათის წინეთ „ნემსს იპოენილით“, საცურავე ტბებით დიფარნენ, სოფელში, ტრიალ მინდორზედ უფილით მობობდა ქვიშა ნარჩვენი მდინარე.

მართი სიტყვით, მე ექნება ნასამედიც ვერა ესთქვი, რის მოწამეც ვიყავი. მართლში და იმერეთში მსგავსს აღამიანთ არ მოსწრებია და აქეთკენ კი იქნება ახსოვდეს ვისმე, რომ როდსმე ჰყოფილა თუ ამ გვარი, მინაგვარი მაინცა. შურო დიდი წვიმები იყო მვემო-მაჩხანში, შანიან-ბოდბის ხეში და მიჩხანში.

ღვევანდელი დღე, 11 მაისი, ყველასათვის მშვედობიანი დღე არ გათენდა. გამოვედით სოფელში, ულოცავთ ერთ-მანერთს მშვიდობით გადარჩენას და ყოველს მხრიდამ მოდის ახალ-ახალი სამწმუხარო ამბები: ჰუ-ნის ხეში ხუთი აღამიანი — ერთი კაცი, ერთი დედა-კაცი და სამი ყმაწვილი — დამხრჩვალა! აქვე მშვიდდ სულთ სხვილ-ფეხი პირუღვევი უპოვნიათ დამხრჩვალი. რომდენი ყინწ მოწყვეტილი და ქვიშაში გახვეული წვრილ ფეხობა იპოვეს და რამდენი ბოსტნები, ვენახები, დიდრონი ხეები, გომები და სხვა ძირიანათ ამოსთხარა და გაამიწისპირა, ამას ჩამოთვლაც არ უნდა.

დიდი იღბალი და ბედნიერება მხენელ-მთხეველებსა, რომ მინდრებში, ყანებში არ ჰყოფილა დიდი წვიმა და სეტყვა სულ არა, თორემ ისე თქვენი მტერი რომ იმითი მდგომარეობა იქნებოდა! მართს საწყლის სახლს ნიაღვარი მია-

და და დაქცევას ემუქრებოდა. ამან წყალი თავის მუხობლისკენ გადააგდო და ხიფათს თავი დაახწია. მეორე დღეს მე-წობელმა იჩივლა, რომ თავისი საქმე დაიმჯობინა და მე კი ღვარს შემწირა მხვევრპლათაო. პირველი დაარბიეს, როგორ გაბედა, რომ თავისი სახლ-კარი წყალს არ დაანებო! ამან დარბევა ითაკილა და გაჯავრებული თავს იკლაკდა. მაგრამ სტაცეს ხელი და გომში ჩააგდეს!

ბევრს საქმე გაუჩინა ამ წყალ-დილობამ: სახლების გვერდებზედ ღვარისაგან მოგროვილ ქვეშს ეზიდებიან და თავიანთ ეზოში ალაგებენ. მითოეულს უნდა, რომ თავისთვის წაიღოს, ქვა-ქვიშა და ამასობაში ერთი თავ-პირის მტერევა, ლანძღვა-გინება მოსდით ერთმანეთში, რომ არა ჩემია, არა ჩემია, მე მაჩუქანია ღვარმა, ჩემ სახლთან მოიტანაო. მ. მახანაი თ. კა — კი

ომის აზებები

ომის უმედეგ

ბერლინიდამ იწერებია, რომ რუსეთის წინადადებანი ბერმანიას ძალიან მოსწონსო; მაგრამ საქმე იმაშია — მოეწონება ან საქმაოთ ჰპოებს იმათ ინგლისი, თუ არაო. თუ ამ წინადადებებზე დათანხმდა ინგლისი, მაშინ ორი კვირის განმავლობაში კონგრესსი შეიკრიბებაო.

სტამბოლელი კორრესპონდენტი გაზეთის „Times“-ისა იწერება, რომ ბალკანის აქეთა მხარეზე რუსეთს ამ ჟამად ჰყავს სულ 150,000 ჯარი 840 ზარბაზნითაო. ამ ჯარში ითვლება 20,000 ცხენოსანი. ამ ჯარიდამ სტამბოლის მახლობლად დგას: სან-სტეფანოში — 6,000 კაცი 38 ზარბაზნით, ჩექმეჯეში — 12,000 კაცი 12 ზარბაზნით; როდოსტოში — 12,000 კაცი 59 ზარბაზნით; ადრიანოპოლში — 15 ათასი 170 ზარბაზნით, ფილიპოპოლში — 10,000 154 ზარბაზნით და სხე.

„Indép. Belge“-ში იწერებიან პრზრუმიდამ:

„ადრე აქაურ ოსმალებსა და სომხებს შუა მუდამ უკმაყოფილებმა და ჩხუბი იყო; მაგრამ მას აქეთ, რაც პრზრუმი რუსების ხელშია, სრული მშვიდობიანობა დამყარდა ქალაქში. რუსებმა დააწყეს აქ პოლიცია, რომლის მომეტებული ნაწილი ჩინოფნიკები არიან სომხები. ამას გარდა მცხოვრებლები უნდა უმადლიდნენ რუსის ჯარს, რომელმანც გაასუფთავა ქუჩები და მთელი ქალაქი, ღრმად დამარხა ოსმალოს მიცვალებულები და სხე. და სხე.“

„პოლიტიკური ძორრესპონდენციის“ ტრაპიზონელი კორრესპონდენტი იწერება ამ გაზეთში 2 მარტს: „სომხეთშია ხალხის მღელვარება; მე დამარწმუნეს, რომ ინგლისის აგენტებს ბეი დაურიგებია ქურთების თავი კაცებისათვის და თუ ბრძოლა ატყდა, უკანასკნელი 25,000 კაცი გამოვა რუსების წინააღმდეგ ბრძოლის ველზედაო.“

ამავე გაზეთის ბათუმელი კორრესპონდენტი გეაწობებს:

„თუმცა რუსებმა რამდონჯერმე მოსთხოვეს ძობულებთს ანუ ჩურუქ-სუს დათმობა ოსმალებს, მაგრამ ამ პატარა ქალაქის კამენდატი სულეიმანი ამბობს, რომ სტამბოლიდამ ჯერ ბრძანება არ მიმიღია და ვერ შემიძლია თქვენდ მოთხოვნილება შევასრულო. ამბობენ, ლენ. პომაროვს განზრახვა აქვს, თუ საჭირო იქნა, ძალით აიღოს ეს ქალაქი. ამ უკანასკნელ დღეებში კი მოვიდა ამბავი ვითომც ოსმალოს გარნიზონი ძობულებითდამ გასვლას აპირებსო. (?)“

ბანსხალბანის თფილისის თავალ-აზნაურთა საადგილ-გამულო ბანკისაგან

თფილისის თავალ-აზნაურთა საადგილ-გამულო ბანკის ზამგეობა ამით აცხადებს, რომ მეექვსე (VI) ტირაჟში, რომელიც მოხდა ამ 11 მაისს 1878 წელსა, გამოვიდნენ შემდეგი ნომრები ხსენებული ბანკის გირაოს ფურცლებისა:

- I სერიის
 - 18 წლისა და 7 თვის ვალის ას (100) მანეთიანი ღირსებისა, №№ 123, 62, 76, 107, 11, 110 და 51.
- II სერიის
 - 54 $\frac{1}{2}$ წლის ას (100) მანეთიანი ღირსებისა, № 57
 - 27 $\frac{1}{2}$ წლისათას (1000) მანეთიანი ღირსებისა, №№ 56 და 108.
- III სერიისა
 - 54 $\frac{1}{2}$ წლის ას (100) მანეთიანი ღირსებისა, №№ 29 და 20.
 - 27 $\frac{1}{2}$ წლისა ას (100) მანეთიანი ღირსებისა, № № 36, 34 და 82.
 - 27 $\frac{1}{2}$ წლისა ხუთას (500) მანეთიანი ღირსებისა, №№ 20 და 142.
- IV სერიისა
 - 27 $\frac{1}{2}$ წლის

